მრავალ ახალ წელს, მეგობრებო!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 იანვარი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 1 (14911)

ნახ. გ. მაისურაძისა.

საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ტელევიზიითა და რადიოთი

ძვირფასო თანამემამულენო!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

იწურება 1970 წლის უკანასკნელი წუთები. საბჭოთა ხალხი მას აცილებს მოხდილი ვალის შეგნებით, კარგი განწყობილებით. ეს იყო დიდი ლენინის იუბილეს დაუვიწყარი წელი, მერვე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, თავდადებული შრომისა და აღმშენებლობის, ახალი გამარჯვებებისა და დიდი საქმეების წელი.

ყველგან საბჭოთა მიწაწყალზე — ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, ჩრდილოეთის ზღვებიდან კავკასიონამდე — მიმავალმა წელმა კეთილი კვალი დატოვა. მწყობრში ჩადგა ასობით საწარმო, გაყვანილია ახალი მაგისტრალები, აშენდა ახალი ქალაქები. გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებანი. მოყვანილია მარცვლეულისა და ბამბის ყველაზე უხვი მოსავალი, რაც კი ჩვენი ქვეყნის ისტორიას ახსოვს. თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ. მთვარის ზედაპირზე პირველი კვალი გაავლო საბჭოთა „ლუნოხოდ-1“-მა.

შესანიშნავი მიღწევანი უფლებას გვაძლევენ სიამაყით ვთქვათ: 1970 წელი ღირსეულად აგვირგვინებს მერვე ხუთწლედს. ხალხის შემოქმედებითი საქმიანობა აღინიშნა ახალი ისტორიული გამარჯვებებით: წარმატებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმა ძირითადი სოციალურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით.

დაპყრობილია ახალი მწვერვალები ეკონომიკის განვითარებაში. გაიზარდა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება. ამაღლდა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონე. კიდევ უფრო განვითარდა სოციალისტური დემოკრატია. განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ძმობა, მათი შეკავშირება ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო. ჩვენმა სამშობლომ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნიზმის გზაზე.

დღეს განსაკუთრებით მტკიცეა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები, დიდია მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ, რომელიც ერთგულად იცავს მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ლენინურ პრინციპებს, ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო მშვიდობიანი, აღმშენებლობითი შრომის ხელშეწყობი პირობები. ამ პოლიტიკის მიზანია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცება და განვითარება, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირება ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების საქმის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის საქმის დასაცავად.

ყველა ჩვენი წარმატება საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომის, გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ჩვენი დიდი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მშრომელების ნებისა და მოქმედების ერთიანობის შედეგი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია.

ახალი წლის შეხვედრის სასიხარულო და საზეიმო წუთებში მოგმართავთ თქვენ, ქარხნებისა და ფაბრიკების, შახტებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელნო, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენო.

თქვენ, საბჭოთა ქალებო, რომლებმაც ღრმა მადლიერება და პატივისცემა დაიმსახურეთ თქვენი დიდი შრომით, მოზარდი თაობისათვის დედობრივი ზრუნვით.

თქვენ, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, რომლებიც ღირსეულად განაგრძობთ მამების დიად რევოლუციურ ტრადიციებს, შრომითს საგმირო საქმეებს.

თქვენ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მამაცო მეომრებო, რომლებიც იცავთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას, სოციალიზმის მონაპოვრებს.

სახელი და დიდება თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, გულითადი მადლობა თქვენი თავდადებული შრომისათვის, პარტიის საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი თქვენი ერთგულებისათვის!

მიღწეულისათვის კანონიერი სიამაყის გრძნობით, ოპტიმიზმით აღსავსენი ეგებებიან ჩვენი სამშობლოს ხალხები 1971 წელს. წინ არის კომუნისტური მშენებლობის ახალი მიჯნები. საბჭოების ქვეყანა იწყებს მეცხრე ხუთწლედს, ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ადამიანები მშობლიური პარტიის ყრილობას აღნიშნავენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი აღმავლობით, აღიქვამენ მის გადაწყვეტილებებს, როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს, მთელ ძალღონეს, ცოდნას, გამოცდილებას მოახმარენ მათი წარმატებით განხორციელებას. ლენინის ანდერძისადმი ერთგულება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ახალ დიად გამარჯვებათა საიმედო გარანტიაა.

ჩვენ ამ წუთს მეგობრული მილოცვებით მივმართავთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს. ჩვენი მხურვალე სალამი კაპიტალისტური სახელმწიფოების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მუშათა კლასს, მშრომელ გლეხებს, პროგრესულ ინტელიგენციას. ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ ხალხებს, რომლებმაც დაამსხვრიეს კოლონიური ბორკილი, ყველას, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! ახლა კრემლის კურანტები ქვეყანას ამცნობენ ახალი წლის დადგომას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ ყველას და გისურვებენ ახალ წელს ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს შრომაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. დაე ახალ წელს სიხარული და ბედნიერება იყოს ყოველი საბჭოთა ოჯახის, ყოველი საბჭოთა ადამიანის თანამგზავრი!

დაე ახალი წელი იყოს მშვიდობისა და დემოკრატიის საქმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის ახალ გამარჯვებათა წელი!

დღეს ჩვენ ვადღეგრძელებთ დიდ საბჭოთა ხალხს, კომუნისტების ლენინურ პარტიას და ჩვენს უსაყვარლეს სოციალისტურ სამშობლოს!

მოგილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ახალ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

დამსახურებული ჯილდო

თბილისის უნივერსიტეტს გაძღეცა შრომის წითელი დროშის ორდენი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული მეცნიერებისა და კულტურის დიდება და სიამაყეა. მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის უახლეს ისტორიაში. მის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებლის უმრავლესობა. უნივერსიტეტის აღზრდილები შეადგენენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერული და პედაგოგიური კადრების ძირითად ბირთვს.

ახლახან რესპუბლიკის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და მეცნიერული კვლევის განვითარებაში მოპოვებული მიღწევებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

31 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი სასწავლებლისათვის მთავრობის საპატიო ჯილდოს გადაცემას.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. მუკანანაძე, გ. ჯაფარიძე, გ. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვანტაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. აბაშიძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე, თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერები, პროფესორები და მასწავლებლები, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სოციალისტური შრომის გმირმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

სიტყვა ეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს.

ვ. მჟავანაძემ ილაპარაკა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა და მასწავლებელთა კოლექტივის წარმატებებზე.

ვ. მჟავანაძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის უნივერსიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ამხ. მჟავანაძემ უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს მიულოცა საპატიო ჯილდო.

ვ. მჟავანაძემ პროფესორებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, უნივერსიტეტის მუშაკებს ახალ წელს, ახალი წარმატებები, ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება უსურვა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ვ. მჟავანაძემ შრომის წითელი დროშის ორდენი მიიბნია უნივერსიტეტის დროშას.

სხდომაზე გამოსულმა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ, პროფესორებმა და სტუდენტებმა მხურვალე მადლობა გადუხადეს პარტიასა და მთავრობას უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივის მუშაობის დიდი შეფასებისათვის. (საქდესი).

*

სურათზე: შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

ფოტო მ. დათიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დარბაზობა ვ. პ. მჟავანაძესთან

31 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ** მიიღო ჰელსინკის სიბელიუსის სახელობის მეკვიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული **ლ. ისაკაძე**, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი მოჭადრაკე **ნ. ალექსანდრია**, ბარსელონის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული **ზ. სოტკილავა** და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ზ. წერეთელი.**

ვ. პ. მჟავანაძემ მხურვალედ მიულოცა მათ 1970 წელს მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სამშობლოს, უსურვა ახალი გამარჯვებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება პირად ცხოვრებაში, გადასცა საჩუქრები.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. გოგიჩაიშვილი** და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. ვ. თაქთაქიშვილი.** (საქდესი).

გრიგოლ აბაშიძე,

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

ნურც ნურასოდეს დაკლეოდეს!

ქართველ ხალხს უთვალავი ახალი წელი გასთენებია. მაშინაც, როცა წელთაღრიცხვა და დამწერლობა არ არსებობდა, ქართველი კაცი ბუნების განახლებას — ახალი წლის მოსვლას ანთებული ჩიჩილაკებითა და მზის საგალობლებით ეგებებოდა და სიცოცხლის მარადისობას უმღეროდა დიდების ჰიმნს.

იმ უთვალავ ახალ წელთაგან ბევრს სიხარული და ბედნიერება მოჰქონდა, მაგრამ უფრო მეტი ცრემლისა და მწუხარების მომტანი იყო.

ქართველმა ხალხმა სასწაულებრივად გაუძლო იმ წელთა გრიგალებს და არა თუ აღიგავა პირისაგან მიწისა, არამედ განახლებული შეხვდა ახალ დროს და ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟს ბრძოლის ყიჟინით მიეგება.

აგერ ორმოცდაათი წელია ჩვენი ხალხი თავისი ახალი ცხოვრებით ცხოვრობს და ყოველ ახალ წელს მისთვის გამარჯვება და სიხარული მოაქვს. მიდიან წლები და ძველი თაობები, მოდიან ახალი თაობები აკვნების რწევითა და სკოლის ზარების წკრიალით, უკვდავების ხე კი, უბერებელი ხე ჩვენი ერის უკვდავებისა, ისევ მაღლა მიიწევს და ფართოდ შლის თავის მარად მწვანე ტოტებს. ნურც ნურასოდეს დალეოდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს ეს სინორჩე და სიმწვანე. ბედნიერი ყოფილიყოს ფეხი ამ ახალი წლისაც საქართველოს ძველსა და მარად ახალ მიწაზე.

სასახელო შრომითი მიღწევებით ხვდებიან ახალ წელს თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ახალგაზრდა მუშები და სპეციალისტები. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათი გუშინ გადაიღო, როცა ახალგაზრდებმა უკვე დაამთავრეს მუშაობა და საახალწლო საზეიმო შეკრებისათვის ემზადებოდნენ.

სურათზე: მარცხნიდან — ს. ალიევა, გ. ფურცხვანიძე, ნ. შკურო, ვ. თობაძე, ვ. სიხარულიძე, ნ. ფირცხალავა, ა. ადიშვილი და შ. თეთრაშვილი.

ფოტო გ. ბოგოხიასი.

მრავალ ახალ წელს!

კეთილი იყოს

გასულმა წელმა მრავალი სიხარული და გამარჯვება მოგვიტანა, მრავალი განსაცვიფრებელი აღმოჩენა და გამოგონება ჩაწერა ჩვენი საუკუნის მატიანეში. ეს იყო საბჭოთა მეცნიერების და საერთოდ მეცნიერების დიდი ტრიუმფის წელი.

ჩვენ მოწმენი გავხდით ახალი დიადი საქმისა, რომელიც „ლუნოხოდ-16“ და „ლუნოხოდ-17“ სახელებთან არის დაკავშირებული. ეს ურთულესი და გაბედული ექსპერიმენტები იშვიათი ოსტატობით რომ სრულდება, იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანმა წამოიწყო დიადი შეტევა, ჩვენი მარადიული, ბუნებრივი თანამგზავრის — მთვარის საიდუმლოებათა შემეცნებისაკენ მიმართული.

საბჭოთა მეცნიერებამ გასულ წელს დიდი სტარტი აიღო კოსმოსის ათვისების საქმეში. სწორედ ეს სტარტი იქნება ამ დარგში ახალი — 1971 წლის ახალი გამარჯვებებისა და წარმატებების უტყუარი საწინდარი.

კეთილი იყოს შენი მობრძანება, ახალო წელო! მშვიდობისა და სიხარულის წელიწადი ყოფილიყავი!

ნიკოლოზ მუსხელიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სიუხვე დაგვეკვეთოს

ბარაქიანი იყო გასული ათას ცხრაას სამოცდაათი წელი. საქართველოს სოფლის მშრომელები ხელდამშვენებულნი შეხვდნენ ახალ წელს. აქეთ ზვრებს, იქით ჩაის პლანტაციებს, ხილისა და ნარინჯების ბაღებს, მინდვრებისს და ფერმების მუშაკთა გარჯის ნაყოფით ხარობს ჩვენი ქვეყანა.

სოფლის მშრომელთა სახელით ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს გულმხურვალედ გულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ, რომ უფრო ხელხვავიანი, ბარაქიანი, სიხარულიანი ყოფილიყოს მათთვის მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. ყველა მშრომელის ჯერვემ მარად იყოს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ოჯახის სიმრავლე, შრომისაგან მონიჭებული სიხარული და ხალისი.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო!

არსენ კობაბიძე,

წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე.

მუშური გულით

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ საშუალება მომეცა ახალი წელი მივულოცო საყვარელი საქართველოს მშრომელებს, ყველას, ვინც კი ქართული მიწის ძუძუთი საზრდოობს. ალბათ სიტყვა არ მეყოფა გადმოგცეთ ყველა ჩემი კეთილი სურვილი. ამიტომ კვლავ ტრადიციული ქართული დალოცვით ვეძებო თქვენი მეკვლე: მრავალ ახალ წელს ბედნიერება, დოვლათი, შრომის სიტკბო ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახებს. გზა დაგეღლოცოს, ახალო წელო!

გ. ოგოლაძე,

მეტრომშენებელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

ბოგრძანდი, კეთილო სტუმარო!

მწერლის გლოკნოტიდან

ალექსანდრე ბეგაშვილი

ბატარაქიანმა ყანამ თავთავი დაიმსხვილა, თავის მარჯვენაკურთხეულ დამთესავს, ოფლდამკურებელს, მომყვანს ჩააბარა, ადამიანს გული გაუხარა და, მის ადგილას, ისევ თავთავის ათმაგად დასამსხვილებლად, ისევ ადამიანის გულის ასმაგად გასახარებლად, მწვანედ მოხასხასე ჯეჯილი ამობიბინდა.

ის ყანა უკანასკნელი წელიწადია ჩვენი საუკუნის მეშვიდე ათწლეულისა, ახლახან ისტორიამ რომ დაინაკუთრა; ეს ჯეჯილი კი 1971-ე წელიწადია — ახალი ბედნიერების მახარობელი სტუმარი, მერვე ათწლეულის ზღურბლზე მხნედ და გულადად რომ შემოადგა ფეხი!

გამარჯობა, კეთილო სტუმარო! ჩემი სამშობლო შუბლნათელი და გულგახსნილი ხვდება ხოლმე სიკეთის მაცნეს. მას ხომ არც შარშანდელი წლისათვის გადაურაზავს კარი და დალოცვილი 1970 წელიც მადლიანი გამოდგა, კეთილი დაბვედრა სიკეთით გადაუბადა მოსიყვარულე მასპინძელს: გული სულ სიხარულით გაუთბო, კალთა სულ სიმდიდრით აუვსო, ისეც ნათელ სულში სულ მზის სხივი ჩაუშუქა და ძარღვებში გმირული სისხლი აუჩქეფა...

ათასი წლების განმავლობაში გუთნისტარს ჩაჭიდებულ, კოჭრებიან და ნახმლევ ქართველი კაცის მარჯვენას შარშან რაღა უნდა დასდგომოდა წინ, რომ მას — სვეტიცხოვლის, გელათის, ალავერდისა და ჯვრის აღმმართველს, ვარძიის გამომკვეთელს, შაჰებისა და სულთნების განმკლავებელს, ფაშისტური ურჩხულის გულგამპობს თავი შეერცხვინა; შთთას და ილიას სიტყვით გულღაფოლადებულს, მთაში მყვარალი ხარის ძახილით გამხნევებულსა და მამულის ბედით თვალაცრემლებული ბუბულის გალობით დამტკბარს, ერთა ძმობა-მეგობრობის დიდ მოტრფიალე ქართველ კაცს შარშან რაღა უნდა აღმართოდა წინ, კვლავ რომ არ ესახელებინა თავი, ახალ-ახალი ფერებით რომ არ შეემკო მთა და ველი ცაფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტა სამშობლოსი...

ვაზისა და ქართველი კაცის ერთგულების ფესვები საუკუნეთა ლაბირინთებშია ჩაკარული. და გაზაფხულზე ნუშისა და აბმის ყვავილებით აფერადებულ ალაზნის დოვლათიან ველზე, რომელიც ბუნებას თითქოს მზის სხივების ფუნჯითა და ზამთარ-ზაფხულ თოვლიანი კავკასიონის ზვიადი მწვერვალების კალთებზე ჩაწოლილი ნისლის საღებავებით დაეხატოს, რიონის თვალწარმტაც ჭალებში, სადაც ზრდილნი იმერნი ნამდვილი ქართული ჯანგებითა და გარჯისმოყვარეობით გვაჯდოებენ, კოჯრებაც არც შარშან უღალატნია ვაზისათვის.

ამბობენ, ქართველ კაცს ვაზის სიყვარული სისხლში აქვს გამჯდარიო. თოვლქვეშ მძინარე ვაზმა რომ გამოიღვიძა და აცრემლდა, კაცმა შობოლივით ანუგეშა. მერე კი შეყელა, გაფურჩქნა, გააკოხტავა, გვალვაში მწყურვალი ფესვებით მაცოცხლებელ წყალს დააწაფა, წყურვილიც მოუკლა, დედამიწის ღალაც დედის რძესავით შეარგებინა და ქორწილის ჟამს — შემოდგომას პატარძალივით მკერდთქვარებული დაახვედრა. ტყუილად როდი უმღერიან ვაზს, „შემოდგომაზე მითხარ, ასულო, რთველი არის თუ შენი ქორწილიო“. რთველი ქორწილია ვაზისა.

შარშანდელ რთველში — საქართველოს ამ დიდ ქორწილში სათამადო ადგილი გურჯაანელებმა დიეჭირეს. მათ თელაველმა, ზესტაფონელმა, ყვარელმა, სიღნაღელმა მევენახეებმა ამაყად დაუმშვენეს მხარი. არც სხვა რაიონებს შეურცხვენიათ თავი და ჩვენმა რესპუბლიკამ, 320 ათასი ტონის ნაცვლად, 392 ათასი ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს.

აბა ვინ დაუძრახავს სიამაყეს გურჯაანის რაიონის მუსლმაგარ და მკლავმოუღლელ მევენახეებს, 76 ათას ტონამდე ყურძენი რომ მიჰყიდეს სახელმწიფოს. ისტორიას არ ახსოვს, ერთ რაიონს ამდენი ყურძნით რომ გაეხარებინოს საამობოლოს გული. სწორედ რომ შეეფერება სოფელ ვაზისუბანს თავისი სახელი! 11.200 ტონა ყურძენი მარტო ამ სოფელმა მიზიდა საამობოლოს მარნებში.

თუ 1960 წელს საქართველოს ზვრები (საზოგადოებრივ მეურნეობებში) 42,8 ათას ჰექტარზე იყო გადაჭიმული, 1970 წელს 71,3 ათას ჰექტარს გადაჭარბა. ახალი წელიწადი ოქროს ვარსკვლავებით მკერდდამშვენებულ გმირ მევენახეებს — მ. მექვეიერიშვილს (ველისციხე), ა. ჯიხაძეს (ჭიკანი), ნ. ქვეხიშვილს (აკური), ი. ფულარიახს (დიმი), ვ. ხუციურაულს (ტიბანი), დ. ლელაძეს (არგვეთა), ლენინის ორდენისან გ. მაღლაკელიძეს (ვანი) და სხვებს რომ უცქერის, აბა რას დასჯერდება ამ ციფრს!

ღვინიმი ყველაზე მეტი მზეაო, — ამბობდა მაკსიმ გორკი და გამარჯვებას უსურვებდა იმ „ხალხს, რომელმაც იცის ღვინის დაყენება და მისი მეშვეობით მზის ენერგია შეაქვს ადამიანის სულში“.

გამარჯვებულ ქართველ კაცს, საქართველოდან ათასობით კილომეტრით მაშორებულს, ცივი ციმბირის შორეულ ქალაქებში თუ უცხოეთის ქვეყნებში მოხვედრილსა და სუფრასთან მჯდომს, ამ ათეული წლების წინათაც სიამაყის გრძნობით ბევრჯერ ანთებია სახე, ქართული სამარკო ღვინებისა და კონიაკების ბოთლებზე ოქროს მედლებისათვის რომ მოუკრავს თვალი. მაგრამ შარშანდელმა წელიწადმა ამ ჯილდოებს 29 ოქროს მედალიც მიუმატა და

ალექსანდრე ბეგაშვილი

ამ ოქროს მედალიანებს ალბათ ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს

კარლო კობერიძე

ბოკვლე

საახალწლო მოთხრობა

ასალ ბინაში გადმოვედით და ახალი მეზობლებიც ღაგხვდნენ. ვიდრე ხეირანად გავიცნობდით ერთმანეთს, ვინ ესა ვართ და ვინ ისაო — სახალხოს ბურუსს ამოეფარა და ახალი წელი ისე მოგვიხტა: თურმე სულ რაღაც ორიოდე დღეა რჩებოდა იმ ბედნიერ წუთამდე, წელს რომ გვამატებს და გვაკლებს კიდეც...

მერრე დილით დმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა — დედაჩემი ჩამოვიდა სოფლიდან. პირველი და უმთავრესი: ყველაფერი ჩამოგვიტანა წყლისა და ჰაერის გარდა, აქაოდა, წყალი და ჰაერი ქალაქშიც რიგში დაუუდგებლად იშოვებაო. ასე იყო თუ ისე, ამ ერთხელ მაინც ამცდა ბაზარ-ბაზარ საახალწლო სირბილი...

გავიდა ის ორიოდე დღეც. კიდევ რამდენიმე საათი, და ახალი წელიც ჩამოდგა...

რა სურნელი ტრიალებს სამზარეულოში! იმ სურნელმა, მეღორსა და მაგიდაზე გადმოინაცვლა — სუფრა გამალეს.

ბავშვებმა ადრე დაიყენეს ახალი წელი — ცხრა საათზე უკვე უშფოთველი ძილით ეძინათ.

ახალი წელიც დადგა. მრავალ ახალ წელს დავესწრით, ჯანღონე შეგვრჩესო, გავმრავლდით და გავიზარდეთო...

საღღეგრძელოებს მოვუხშირე. მინდა მხიარულ, საახალწლო ხასიათზე დავდგე, მაგრამ უბედურება ის არის, მეინახე იქით იყოს და მსმენელიც არა მყავს. სადაც არის ტელევიზორში დაამთავრებენ საახალწლო სუფრას, მერე აგერ, მეც მეტყვიან უბოდიშოდ, ავალაგოთო, და ამ დროს კარზე კაკუნი არ მესმის?! მე მეგონა ტელევიზორში აკაკუნებდნენ, მაგრამ კაკუნი რომ გამეორდა, ჭიქა მაგიდაზე დავდგი და კარს ვეცი.

გავაღე კარი და ვხედავ: ვიღაც ახალგაზრდა კაცი მიღიმის:

— შეიძლება?

— მობრძანდით, — ეტყობა მაგრად გადაუკრავს.

— ვინ მოვიდა? — იკითხა დედაჩემმა.

— სტუმარია.

სტუმარმა პალტო და ქუდი კაჩხაზე ჩამოკიდა და მაგიდისაკენ წამომყვა ჰალსტუხის სწორებით.

— გამარჯობათ! — ჯერ დედაჩემს ჩამოართვა ხელი, მერე — ჩემს მეუღლეს, მერე — მე, თან კამფეტებს გვთავაზობს, — ასე ტკბილად დამიბერდით! — ბოლოს ჩემი ჭიქა აიღო, — ამ ოჯახს გაუმარჯოს! მრავალ ახალ წელს დაესწარით საგსე ჯანიოთა და საგსე ოჯახით! მხიარულებასა და სიკეთეში მოგხმარდეთ ახალი ბინა!

— გაიზარდე, შვილო.

— გმადლობთ.

— ამინ! — რაკი მეტი ჭიქა აღარ იყო მაგიდაზე, ხელადა მივუჯახუნე.

მეუღლემ ჭიქა მომიტანა, შევავსე და ხელახლა დავიღოცეთ.

დავცალეთ და დავდგი ჭიქა. რაღაც უხერხულობასა ვგრძნობთ: მე დედაჩემის ნათესავი მგონია, დაბერდა აღარ ახსოვს-მეთქი; დედაჩემს — ნამდვილად ჩემი ცოლის ნათესავი; ჩემ ცოლს, რათ გინდა ლაპარაკი, ჩემი მორიგი ძმაკაცი. ჩვენ ცოტა არ ეყოს, ვიმშვენებით, სტუმარი კი მშვენიერ გუნებაზეა.

— სხვათა შორის, ბატონებო, ახალ წელს პირველი საღღეგრძელო მაინც არ ეკადრება ამ სათითეთი,— ცარიელ ღვინის ჭიქას წკიპურტს ურტყამს.

ვვებ ყანწი მივართვი, — თან ვფიქრობ, სკამზე ზის და ირყევა, ესეც რომ დალიოს, უფალი მიიღებს-მეთქი.

ხელადა ავიღე და ყანწის გავსებას ვაპირებ.

— მოიცა! — წამოიწია და ხელი დამიფარა ყანწზე, — თუ ხათრი გაქვს, ღვინის ჭიქაში რომ ჩავა, იმდენი ჩაასხი.

— ბარემ იმით დაგვეღიან!

— ყანწს სხვა ლაზათი აქვს.

— კარგი, როგორც შენ გინდა, — მგონი უფრო ცოტა ჩავასხი.

წამოდგა, ყანწი გამომართვა:

— რამდენს სძინავს იქ? — ბავშვების ოთახისაკენ გადააქნია თავი.

— ორს, — ვუპასუხე.

— მაგათ გაუმარჯოთ, დაიზარდონ, შენზე ადრე მიეღოთ ბინა, — იცინის. — ვინც მაგათ ძილს არ დაუფრთხობს, იმათაც გაუმარჯოთ,— მიიყუდა, ჯინაღამ წელი გადაუქანდა, როდის-როდის არაკრაკდა ღვინო.

— ნელა, არ დაიხრჩო! — დავცინი.

ტუჩებზე ხელის ზურგი მოისვა:

— ოღონდ შენთვის გაავსე.

— რა მეტყობა მსმელისა?

— შენ აქ უნდა დარჩე, მე კი რვა ოჯახი კიდევ უნდა მოვიარო.

— ახალი მოდის შემოწმებაა?

— ეგრეა!

სხვა რა გზა იყო — სავსე ყანწი დავცალე და ვიდრე ფრჩხილზე დავიპირქვავებდი, თვალებიც ამიქუქუნდა.

— აგაშენა ღმერთმა!

დედაჩემმა შუბლი შეიკრა. ცოლმა — ემანდ არაფერი წამომცდესო, წამოდგა და ხმა აუწია ტელევიზორს— „ბრავალ-ამაერსა“ მღეროდნენ.

— მასპინძელო! — გადმოიხარა, და მხარზე ხელი დამარტყა სტუმარმა, — ჩვენ არ ვიმღეროთ?

— მართალია. მეკვლე, — ამბობს დედაჩემი და მანიშნებს, ყურები წაიღო, ტელევიზორს დაუწიეო.

სტუმარი წამოდგა, ტელევიზორს ხმა დაუწია და გაკვირვებული კითხულობს:

— რაო, მეკვლეო?!

— კი, შენ ხარ მეკვლე, — ახლა მე ვუტყაკუნებ მხარზე ხელს.

— მოიტა ყანწი!

მივაწოდე. მოაპიპინა:

— ისეთი ფეხი მქონებოდეს, აი იმ ოთახში მერმის სამი ბავშვი წოლილიყოს! — ნელ-ნელა დალია, — ადრე გეთქვათ, თქვე დალოცვილებო! დღეს მეათეჯერ ვარ მეკვლე! — ყანწი მომაწოდა, მერე ხელი გაიქნია და კედელს მიარტყა, — ყორაღ ნუცუბიძე! აი, ჭირი!

— კობახიძე ვარ, —შეეკამათა.

სტუმარმა ვაზიდან ჩურჩხელა აიღო, მომაწოდა:

— მიდი, ჩემი პალტოს ჯიბეში ჩადე.

— ცოლ-შვილი გყავს, შვილო? — ეკითხა დედაჩემმა.

— ცოლ-შვილი რომ მყავდეს, ამდაგამ აქ მოსვლა გამოძნელდებოდა. გაგვიმარჯოს.

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს!

— არ წაიდე? — წამოდგა.

— ერთიც დალიე.

—აკი გითხარი, სხვაგანაც ვარ მისასვლელი-მეთქი.

— თუ ხათრი გაქვს!

ჩემი მეუღლე ისეა გაოცებული ამ უცხო კაცის სტუმრობით და ნალაპარაკევით, ხმას არ იღებს, დედაჩემს იმდენი რამ უნახავს ქვეყანაზე, რა ვიცი, რაღა გაკვირვებს!

— კარგად იყავით! ჭიქა ასწია, — მადლობელი ვარ... ყოჩაღ, ნუცუბიძე! — თქვა და დალია, კედელს კი მერე მიარტყა მუშტი, ჭერსაც ახედა.

— რამდენჯერ გითხარი, კობახიძე ვარ-მეთქი! — ძალიან გინდა გამაბრაზო?

— შენი ვვარიც ვიცი და სახელიც.

— აბა, ნუცუბიძე ვინღაა?

— ამ სახლის კალატოზი. კალატოზები. სხვებიც იყვნენ, მაგრამ ის რომ არის, არის! მოდი ნუცუბიძეს გაუმარჯოს, ჩემო კოტე.

— გაჰ, ჩემი სახელიცა გცოდნია?!

— პირველი დაკაკუნება მიჭირდა, თორემ...

— რა გქვია, შვილო? — ეკითხება დედაჩემი.

— აი, აჰა, თქვენმა შვილმა კი ვერ მოიფიქრა! მეც ველოდები, აბა, თუ მკითხავს-მეთქი.

— სტუმარი გქვია, ყველაფერს ნიშნავს სტუმარი! ამ სახლის კალატოზს გაუმარჯოს!

გაუმარჯოსო და ქალებმაც დალიეს, ნამდვილად გაუმარჯოსო, შერჩეს მარჯვენაო.

— არც ახლა წავიდე? — ეღიმება სტუმარს.

— წადი, თუ გინდა.

— რამდენი ჩურჩხელა ავიღო?

— სულ აიღე.

— მამინ ერთიც მეყოფა. ერთი რომ გეთქვა, სულ ავიღებდი...

ყველას ჩამოგვართვა ხელი, უღრმესი მადლობით დაგვიმშვიდობა, თვითონვე გამოაღო კარი და წავიდა.

— ვერა ჭკიხეს, ვინ იყო?!— ეკუბნება მეუღლე.

— ერთი ეს მიბრძანე, რა პირით მეკითხა, ვინა ხარ-მეთქი? თქვენკენ იცით ეგეთი სტუმარ-მასპინძლობა? მე ვერა ვკითხე და შენ გეკითხა, დაგიშალა ვინმემ?

კიდევ რაღაცის თქმას ვაპირებდი, მაგრამ კარზე დააკაკუნეს და მეც გასაღებად გავქანდი. გავაღე კარი და ვხედავ: ჩემი სტუმარი არ მობრუნებულა?! მეუბნება:

— არაფერი გამიგონია, შენს თავს გეფიცები, ნამდვილად კი ვიცი, მკითხავობას მოჰყვებით, ნეტავ ვინ იყოო. ხომ ასეა?

— რას იზამ, ადამიანის ბუნებაა!

— მართალია, ვერა მკითხავდი, ვინა ხარო, ვინა ვარ და ინჟინერი, ეს რვასართულიანი კორპუსი მე ავაშენე, თანაც, არ დაგავიწყდეს, პირველია!

— შემოდი, კაცო! მკლავში ჩავაფრინდი და შინ ვეწევი.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, სხვასაც ხომ უნდა მივულოცო, არა? იმას გამმობდი, ვიფიქრე, წავალ ვნახავ, ვინ არიან რა ხალხი ცხოვრობს-მეთქი, ჰოდა მოვედი.

— შემოდი, შინ ვილაპარაკოთ!

— წავალ ახლა, ეგრე პალტოიანი ჩამოვუვლი დანარჩენებსაც. მერე შინაც ხომ უნდა წავიდე? იქაც ახალი წელია, თუ დამიჯერებ! მერე სადარბაზოს სხვა დროისათვის ვინახავ. შენს თავს გეფიცები, თქვენზე უფრო მე მიხარია, ღმერ აქეთ რომ გამოვიხედავ და ფანჯრებში სინათლეებს დავინახავ ხოლმე, აბა! — ხელი ასწია, — ტკბილი სიზმრები გენახოთ...

კიბეზე დაეშვა. მანამდე არ დაგვიკეტია კარი, ვიდრე ქვედა სართულიდან კაკუნის ხმა არ მოგვესმა.

ნახატი შ. ცხადაძისა.

ჩვენი საერთაშორისო მიმოხილვა

ისტორიის სიმართლე

ვლადიმერ მაჭავარიანი

ოსტორიის კუთვნილება გახდა 1970 წელიც. მხოლოდ რამდენიმე საათი გვაცილებს დროის მიჯნას, რომელიც ეს იყო გადალახეთ. ალბათ დროის გარკვეული დისტანციაა საჭირო, გასული წლის დიდი, ღრმა მოვლენები შემოხვევითისაგან რომ განვასხვავოთ და ყველას და ყოველს კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ.

შარშან კვლავ მძვინვარებდნენ არა მარტო ადამიანთა ‘ პოლიტიკური თუ სხვაგვარი ვნებანი. განსაკუთრებით ბობოკრობდა ბუნებაც. მიწისძვრები, ტაიფუნები, ქარიშხლები, წყალდიდობანი თავს ესხმოდნენ ადამიანებს. ბუნება კვლავ ამცნობს ადამიანს, რომ ის ჯერ კიდევ სტიქიონია და იქ მოქმედ ძალებს შეენობა სჭირდება. ადამიანი ხომ ისტორიაშიც ცხოვრობს და ბუნებაშიც.

თუ ამ თვალთახედვით მიგვისურვებთ 1970 წელს მოშდარი ღირსშესანიშნავ ამბების გახსენებას, გამოირკვევა, რომ შარშან ადამიანმა მარტოდენ ტრაგედიები როდი განიცადა, ის წელი ადამიანის გენიის ზეიმიც იყო.

საბჭოთა ადამიანის ნახელავი, ავტომატური მანქანა ფრთხილად დასვირნობს მთვარეზე, მთვარის დღის მანძილზე დედამიწიდან გაცემულ განკარგულებების მიხედვით მოძრაობს, დადის, მუშაობს, მთვარის გრძელი, ცივი ღამის დროს კი ისვენებს. საბჭოთა ადამიანი, თითქმის ნახევარი მილიონი კილომეტრის მანძილიდან, თავისი ხერხვილისამებრ მართავს, მთვარის ზედაპირზე ატარებს მთვარემავალს. „ლუნოხოდ-1“ ადამიანის გენიის გამარჯვებაა, ის მიწმობს, თუ რაოდენ მაღალ დონეზე ასულა საბჭოთა მრეწველობა, მეცნიერება, ჩვენი ადამიანის გამჭრიახობა და ხებინყოფა.

ჰოდა, კოსმოსურ სივრცეებიდან დავუბრუნდეთ აქაურობას. ჩვენ ხომ დედამიწის მკვიდრნი ვართ. აქ რაღა ხდებოდა?

გასული წელი ლენინის წელი იყო. ეამთა სვლაში ასი წელი დროს არც თუ დიდი მონაკვეთია. კაცობრობის არსებობის ისტორიაში რამდენი „დავიწყებული“ საუკუნეა! ეს საუკუნე სხვა იყო, მას ვერავინ, ვერასოდეს ამბოლის ადამიანთა მოდგმის მეხსიერებიან.

1870 წელს რუსეთის იმპერიას ორთვიანი არწივის გაშლილი ფრთების ჩრდილი ფარავდა. არსაიდან ხმა, არსით ძახილი. შაგბნელ ღრუბლებს ელა-იქ თუ გააპობდა ელვის ნათელი.

1898 წელს შედგა ჩვენი პარტიის პირველი ყრილობა. მას ცხრა დელეგატი ესწრებოდა. ყრილობის დამთავრების შემდგომ დღეებში ცხრიდან ექვსი დაპატიმრეს. ეს იყო 72 წლის წინათ. ახლა ეს პარტია თავისი XXIV ყრილობისათვის მზადისშია. მთელი ჩვენი ქვეყნის, მსოფლიოს გულისყური მოსკოვისაკენაა მიპყრობილი. რაზე იმსჯელებს, რას დაადგენს ლენინელთა დიდი მეჯლისი, როგორ პერსპექტივას დაუსახავს ის თავის ქვეყანას, როგორ განსაზღვრავს კაცობრობის განვითარების გზებს? ამჯერად, ჩვენ პარტიაზე უფრო ძლიერი, ორგანიზებული, უზარმაზარი ისტორიული ‘გამოცდილების მქონე, მეცნიერული მსოფლმხედველობით აღჭურვილი პოლიტიკური ორგანიზაცია, არ არსებობს მთელ მსოფლიოში.

პარტიამ, ლენინელთა კოპორტამ იცის ისტორიის სიმართლე. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ქვეყანა მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების დარგში უდიდეს წარმატებებს აღწევს. დასავლეთში ჩვენ „სუპერსასელმწიფოს“ გვეძახიან.

ეს ასეა, მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ჩვენი ქვეყანა მითიურ მერანზე ზის, წინ მიქაჩრის და ეს სრბოლა მომავლისაკენ ჰრავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება. ცხოვრების რეალური პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია. მხოლოდ უგულუბრმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ახალი სოციალური სტრუქტურის მშენებლობა სიძნელეებს, შეცდომებს, უსარგებლო ზედნადები ხარჯების გარეშე განხორციელდება. მრავალთაგან დავუკვირდეთ ცხოვრების ერთ მოვლენას. ცნობილია, რომ სოციალისტური წარმოების თანამეფეროვნ დონე ისეთივე სიჩქარით ვერ აკმაყოფილებს სწრაფად მზარდ ყველა მოთხოვნილებას, რა სიჩქარითაც ვითარდებიან ეს მოთხოვნილებანი. იმასაც ნუ დავიიწყებთ, რომ იმპერიალიზმი მუდამ აგრესიულია და ამიტომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები იძულებული არიან გაიღონ ეროვნული შემოსავლიდან ღიდი თანხები ხისმგებლობის გრძნობის შემდგომ ზრდას. პარტიას მუდამ უნდა ესმოდეს ხალხის, მუშათა კლასის მაჯისცემა. რაც უფრო რთულია ცხოვრება, მით უფრო მეტი პრინციპულობა გვჭირდება ყველას.

მრავალ შემთხვევაში გვმართებს თვალი გავუსწოროთ ცხოვრების რთულ მოვლენებს. ვ. ი. ლენინი დაჭინებით გვასწავლიდა: „თავს ნუ პიტყუებთ ტყეშიაო. ამას ზიანი მოსქვს. ეს ჩვენი ბიუროკრატიზმის მთავარი ყუაროა“.

ჯერ კიდევ 1918 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „ესოდენ ისტორია ახლა ისეთი მძაფრი სისწრაფით მიჰქრის და ყოველივე ჩვეულებრივს, ყოველივეს ძველს ანბრძეს ისეთი განუზომელი სიმძლავრის ბრუნი, ისეთი არნახული ძალის კრიზისებით, რომ უალრესად მტკიცე ცრურწმენანიც კი ვერ ალეგენ“

უკანასკნელ ათწლეულში დასავლეთის სამყარო ცრურწმენთა, მითების და ილუზიების ნამდვილი სანერგე გახდა. ელექტრონულმა პოლიტიკანებმა ქვეყანა გააყრუეს, თითქოს მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შეცვალა კაპიტალისტური სამყაროს სოციალური სტრუქტურა. ამ ზღაპარს ხმა ააყოლეს სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტებმა.

მოცული ეს მონაჭორი სინამდვილის ფაქტებთან შეპირისპირებას ვერ უძლებს. კაპიტალისტურ სამყაროში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მაღალი ტემპებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ვითარდებოდა. რა შედეგი გამოიღო მან, თუ ამ ტექნიკური ძვრების სოციალურ ასპექტზე ვიმსჯელებთ? ამერიკელი ისტორიკოსი, სოციოლოგი არტურ შლეზინგერი სწორედ 1970 წელს წერდა: „ვერავინ დაეჭვდება, რომ ჩვენი ქვეყანა გასაჭირში იმყოფება“ ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი იუჯინ ჯენოვეზე წერს: „დღეს პირველად ისტორიაში ქვეყანა აღმოჩნდა იდეალებისა და რწმენის, ინსტიტუტებისა და პერსპექტივების დაქვეითების პირისპირ. ეს იგრძნობა ცხოვრების ყველა დარგში, საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალურ ფენაში“. იელის უნივერსიტეტის პროფესორი ს. ლინდი ბურეუაზიული მეცნიერისათვის უჩვეულო აზრს გამოთქვამს: „კ. მარქსს ალბათ არც კი წარმოედგინა, რამდენად მართალი იყო, როდესაც ამბობდა, არჩევანი სოციალიზმსა და ბარბაროსობას შორის უნდა მოსდესო“. საქვეყნოდ ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ რაიმონ არონმა წიგნი, რომელიც 1970 წელს გამოსცა, ასე დასათაურა: „პროგრესში იმედის გაცრუება“.

ნიშანდობლივია ერთი პატარა მაგალითი. კალიფორნიაში, ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მრავალრიცხოვან და მდიდარ შტატში, 40 ათასი ინჟინერია უმუშევარი. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციამდელ ხანაში ასეთი რამ შეუძლებელი იყო, ისე კი ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 მილიონი უმუშევარია. აღარაფერს ვამბობთ რასსობრივ თუ სხვა პრობლემებზე.

1970 წელს მძაფრი ეკონომიური, პოლიტიკური ხასიათის კლასობრივი ბრძოლები გაიშალა უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, კერძოდ იაპონიაში, ინგლისში, იტალიაში, სხვაგანაც. 10 თვის მანძილზე კაპიტალისტურ ქვეყნებში გაფიცვაში მონაწილეობდა 63 მილიონი მუშა. ეს ბრძოლები ვერ შეაჩერა მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის მნიშვნელოვანმა ძვრებმა ტექსოლოგიაში. იმ სამყაროში ადგილი ჰქონდა აშკარად გამოხატულ ინფლაციურ ტენდენციებს, ფინანსურ, საბანკო სისტემაში კრიზისულ მოგლენებს.

განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად შიმშილისაგან სამნახევარი მილიონი ადამიანი კვდება. იქ მოსახლეობის 70 პროცენტი წვრა-კითხვის უცოდინარია.

თუ საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით 3 მესჯელებთ, სწორედ ულტრათანამედროვე, ელექტრონულმა და სხვა სახის მრეწველობამ შეუქმნა ამერიკელებს ილუზია, თითქოს რასაც კი მოისურვებენ, ყველაფერს განახორციელებენ და მოიმოქმედებენ.

ვერ ვიტყვით, რომ ამერიკელ მმართველ წრეებს დროულად არ აფრთხილებდნენ დასავლეთის დაკვირვებული, დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე სახელმწიფო მოღვაწეები. დე გოლის გარდაცვალების რამდენიმე ღღით ადრე საფრანგეთში გამოქვეყნდა მისი მემუარების ახალი სერიის პირველი ტომი. გენერალი იხსენებს ჯონ კენედის სტუმრობას საფრანგეთში და წერს: „ჯონ კენედი ცდილობს ამიხსნას, რომ ინდო-ჩინეთში საქმეები იმ მიზნით გაფაროვდება, რათა მსოფლიოს ამ უბანში აიგოს საბჭოთა-ამერიკული ერთიანი ფრონტი. ეს ისეა, ვითომ ინგლისელებმა ინდოეთში ინგლისელ-ინდოელთა ერთიანი ფრონტი ააგონ“. ეს ასეა, ოღონდ ინდოეთში ინგლისელ-ინდოელთა ერთიანი ფრონტი ააგეს, ამერიკელებმა ინდო-ჩინეთში ამერიკელ-ინდოჩინელთა ერთიანი ფრონტი ვერ ააგეს

ახალი სიმაღლე



„რას აშენებენ მთაწმინდის პლატოზე ტელეანძის გვერდით? ძალიან საწყენი იქნება, დედაქალაქის ამ ულამაზესმა ადგილმა თავისი განუმეორებელი სახე რომ დაკარგოს“, — გვწერდა ერთი-ერთი უცნობი თბილისელი მკითხველი. ჩვენ შეგვიძლია დავამშვიდოთ იგი; ეს შიში უსაფუძვლოა. ელექტრ ტელეანძის გვერდით აღიმართება უფრო მოხდენილი ტელეანძა, რომლის მაკეტსაც დღეს ვაქვეყნებთ.

ცამეტი წელიწადია მთაწმინდას ტელეანძა ამშვენებს. მაგრამ თავის დროზე ამ პროგრესულმა ტიპიურმა ნაგებობამ უკვე დრო მოგვაა, ველარ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. საჭირო შეიქმნა მისი ახლით შეცვლა.

რას წარმოადგენს და როგორი იქნება ახალი ტელეანძა? ამ კითხვით მივმართეთ შემკვეთი ორგანიზაციის — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსს **ლ. იარალოვს.** აი რა თქვა მან:

— ტელეანძის სიმაღლე 277,5 მეტრი იქნება. იგი ინდივიდუალური პროექტით შენდება, რომელიც დაამუშავა უკრაინის ლითონ-ფოლადკონსტრუქციების კიევის საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა. საქართველოს არქიტექტორთა საბჭომ რამდენიმე **პროექტიდან ეს პროექტი შემთხვევით არ აირჩია.** იგი ყველაზე ლამაზია და საუცხოოდ შეერწყმის მთაწმინდის ლანდშაფტს.

ახალ ტელეანძაზე დამონტაჟდება ორი ტექნიკური ნაგებობა. პირველ ნაგებობაში მოთავსდება რადიოსარელეო აპარატურა; მეორე ორსართულიან ტექნაგებობაში კი დაიდგმება ახალი სისტემის აპარატურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რადიოსატელეფონო კავშირი დავამყაროთ მოძრავ ობიექტებთან.

კიდევ რით არის აღსანიშნავი ახალი ტელეანძა? მისი აგების შემდეგ ტელევიზიის მუშაკებს საშუალება მიეცემათ სამამდე გაზარდონ ტელეპროგრამები. ამასთან ერთი პროგრამა ფერადი იქნება, ხოლო რადიოგადაცემები ოთხი პროგრამით იწარმოებს ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონით.

ახალი ტელეანძა რთული ნაგებობაა. ლითონკონსტრუქციების საერთო წონა 1320,5 ტონას უდრის. მათ ასაწყობად დიდი სიზუსტის დაცვაა საჭირო. ამიტომ გეოდეზიური მეთვალყურეობისათვის სპეციალური სამსახურია შექმნილი.

ანძას აშენებს ტრესტ „იუჟსტალკონსტრუქციის“ რუსთაველ სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი ი. თოფურია) კოლექტივი. ამ ძნელ საქმეს მშენებლები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ. შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებამ (სამუშაოები შეასრულა „თბილმრეწმშენის“ № 5 სამმართველოს—უფროსი თ. გუდაძე კოლექტივმა). მემონტაჟეებს სამუალება მიეცათ მკვიდრად დაედგათ პირველი კონსტრუქციები. მონტაჟი ხორციელდება თვითამწეს მეოხებით.

თბილისელებს კარგად ახსოვთ 1956 წლის 31 დეკემბერი. ახალი წლის ღამეს მათს ოჯახებში პირველად აინთო ცისფერი ეკრანი. მაშინ ტელეგადაცემებს სულ რამდენიმე ასეული ტელევიზორი იღებდა. ახლა კი 1970 წლის 1 იანვრის მონაცემებით ტელევიზორების რიცხვმა საქართველოში 417 ათასს მიაღწია.

მაგრამ მომავალში ტელევიზორების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება; ახალი ტელეანძა კი საშუალებას მოგვცემს საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ტელევიზია.

ძველი ტელეანძა კი, რომელიც თბილისის სიმბოლოდ იქცა, კვლავ შეასრულებს თავის მისიას, მხოლოდ ამჯერად მისამართს შეიცვლის. როცა ახალ ანძას ააგებენ, მას დაშლიან და ყვარელში დადგამენ, ამით უზრუნველყოფილი იქნება აღმოსავლეთ საქართველოში ტელეგადაცემების მიღების მაღალი ხარისხი.

რ. ჯელიძე.

ახალი ფელი მოგრძანდა

საღ როდის

იაპონიასა და კორეაში წლის დასაწყისს ზეიმობენ თებერვალსა და მარტში;

ჩინეთში — თებერვალში;

ბირმაში — აპრილში;

ვიეტნამში — ადრეულ გაზაფხულზე;

სირიელები — პირველ სექტემბერს;

მუსლიმანურ ქვეყნებში — 21-22 მარტს;

ჰოლანდიაში — მარტში.

ინდოეთში სამი სხვადასხვა კალენდარია და ახალი წელი სხვადასხვა თვეს ემთხვევა.

წლის დასაწყისად პირველ იანვარს გერმანიაში 1500 წლიდან ზეიმობენ, საფრანგეთში 1564 წლიდან, ინგლისში 1752 წლიდან.

ბიზანტიის იმპერიაში ახალ წელს იწყებდნენ 1 სექტემბერს. ეს თარიღი შემორჩა რუსეთს პეტრე პირველის მეფობამდე.

ადრე რუსეთში ახალი წელი იწყებოდა 1 მარტს, 1348 წლიდან — 1 სექტემბერს, 1700 წლიდან კი პეტრე პირველის ბრძანებით— პირველი იანვრიდან.

წლის დასაწყისად საქართველოში მეათე საუკუნიდან მიღებული იყო ორგვარი წელთაღრიცხვა — 1 სექტემბერი საეკლესიო და 1 იანვარი სამოქალაქო წელთაღრიცხვისათვის.

მე-17 საუკუნეში საქართველოში წლის დასაწყისად 1 იანვარი დაწესდა. იანვრის თვის ძველი ქართული სახელწოდება იყო აბანისი.

რიგრიგ ცნობილია, იანვარი წლის პირველ თვედ გამოცხადდა ძველი წელთაღრიცხვით 46 წელს იულიუს კეისრის კალენდრის რეფორმის შემდეგ. მაგრამ ძველ რომაელთა გადმოცემებში ჩანს, რომ იანვარი წლის დასაწყისად ცნობილი იყო 700 წლით ადრე კეისრის რეფორმამდე.

რომის ლეგენდარული დამაარსებლის რომულის დროს წელიწადი იწყებოდა მარტის თვით, რომელიც ეძღვნებოდა ომის ღმერთს — მარსს. რომაელთა მშვიდობის ღმერთმა იანუსმა, რომელიც წლის მეთერთმეტე თვედ იწოდებოდა, პირველობა ჩამოართვა მარსს.

რომაელთა მითოლოგიით იანუსი ორსახოვანი ღმერთი იყო — ღვთაება ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულისა. ლათინურად იანუ ნიშნავს ასევე კარს, ჭიშკარს. იანუსი იცავდა ყოველგვარ შესასვლელსა და გასასვლელს, დაწყებული ქალაქის ჭიშკრიდან, დამთავრებული ყველა სახლის კარით. ამიტომ მას ხატავდნენ გასაღებით ხელში. იანუსის პატივსაცემად წლის პირველ თვეს იანვარი უწოდეს.

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, სადაც ახალ წელს ხვდებიან თერთმეტჯერ — დაწყებული ჩუკოტკის დაბა უელენიდან, რომლის მცხოვრებნი პირველნი ხვდებიან ახალ წელს, დამთავრებული გმირ ციხესიმაგრე ბრესტით.

საღ როგორ

● ძველ ბაბილონში ახალი წლის დღესასწაულზე მეფეები ძალაუფლებაზე დროებითი ხელისაღების ცერემონიას ასრულებდნენ. მეფე თეორეტიკულად მართავდა ერთ წელიწადს. ყოველ ახალ წელს იგი ისევ ეკურთხებოდა მეფედ.

● ძველი რომაელები საახალწლოდ ერთმანეთს ფულად საჩუქრებს უძღვნიდნენ, რაც კეთილ ნიშნად ითვლებოდა.

1 იანვარი საკონსულო წლის დასაწყისი იყო.

● ძველი სპარსელები ახალ წელს (ნავრუზი — „ბაირამი“) კვერცხებს უცვლიდნენ ერთმანეთს.

ირანში საახალწლო სუფრაზე აუცილებელია შვიდი თავი საქმელი. უიმისოდ, ირანელთა რწმენით, არ იქნება ბედნიერება ახალ წელიწადს.

● ძველი ჩინელები საახალწლო თეთრად იმოსებოდნენ. თეთრი ფერი ბედნიერების სიმბოლო იყო. მარკო პოლოს გადმოცემით საახალწლოდ მეფისათვის უნდა მიერთმიათ ასი ათასი თეთრი ცხენი. ეს რიცხვი გადაჭარბებულია. რამოზოს მიხედვით უნდა მიერთმიათ ცხრაჯერ ცხრა თეთრი ცხენი. ესე იგი 81 ცხენი.

● ძველ იაპონიაში საახალწლოდ არ შეიძლებოდა სუფრასთან ოთხი კაცის დაჯდომა, რადგანაც სიტყვა ოთხი და სიკვდილი ერთნაირად იწოდებოდა. არ შეიძლებოდა ოთხფეხა საქონლის ხორცის ჭამა.

ახალი წლის ზეიმი მთავრდებოდა 18 იანვარს მოლექსეთა პაექრობით.

თუ იაპონიაში ბავშვი დაიბადებოდა 31 დეკემბერს, ეს ნიშნავდა, რომ პირველ იანვარს ის უკვე მეორე წელში იყო გადამდგარი.

ახალი წლის დაწყებას იაპონიაში იუწყებიან ბუდას ტაძრის ზარის 108 დაკვრით. საახალწლოდ სვამენ „ფუკუიას“ („ბედნიერების ჩაი“). ზეიმი გრძელდება 3-4 დღე. ბოლო დღეს ეწყობა მეხანძრეთა პარადი, სადაც მეხანძრეები უჩვენებენ თავიანთ აკრობატულ ხელოვნებას.

● გერმანიის ქალაქებში იცოდნენ უზარმაზარი ძეხვის დამზადება, რომელსაც საზეიმოდ დაატარებდნენ. მაგალითად, 1601 წელს კენიგსბერგში დაამზადეს ძეხვი 81 ლორისაგან, წონით 453 კილოგრამი და დაატარეს ქალაქში ორკესტრის თანხლებით. მეპურეებმა კი გამოაცხეს უზარმაზარი პურები და საღამოთი ქალაქელებმა შეჭამეს ძეხვთან ერთად.

ინგლისში მეოცე საუკუნემდე შემორჩა მეტად ორიგინალური ჩვეულება — ვინც წლის ბოლოს დადებდა ფიცს, რომ მთელი წლის განმავლობაში არ წასჩხუბებია მეუღლეს, ის ქალაქის ხარჯზე ჯილდოდ იღებდა ღორის ბარკალს. 1144 წლიდან 1908 წლამდე ასეთი ჯილდო მიეღია 8 მამაკაცს.

შეკრიბა ს. ნუცუბიძემ.

— ერთიც დავლიოთ და 12 იქნება.

უტექსტოდ.

რკინიგზელის საქახალწლო მილოცვა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ წელსაც მოხვიდოდი.

მხატვრის ღიმილი

ნახატები ვ. კუციასი. — ნახატები მ. აბაშიძისა.

მხიარული სტრიქონები

ნატვრა

ნატავ სამოცდათერთმეტში
ეს ნატვრა ამისდებოდეს,
ვისაც ეხება ნათქვამი,
გულზე მალამოდ ხვდებოდეს,
ჩემსა და ბევრის წადილსა,
გამგონე დროზე ხვდებოდეს...
ნეტავი ნატვრა მანატრა,
ეს ნატვრა ამისდებოდეს,
კოხტად ნაგები ბაზარი
ვაკეშიც გაიხსნებოდეს,
გადაყრუებულ ყურმილებს
სმენა კვლავ დაბრუნებოდეს,
ტაქსების მძღოლი „კლიენტებს“
გაღიმებული ხვდებოდეს,
მაღაზიაში საქონელს
დახლქვემოთ აღარ ვხვდებოდეთ,
ლოთ-უსაქმეურებს დაეკლოთ,
ტრანსპორტი
მომრავლდებოდეს...
ახალ-ახალი ბინები
ხანდახან მაინც თბებოდეს.
გადადიოდეს ყანწები,
თამადა არა ცდებოდეს,
ბუხარი ცეცხლით გვატკბობდეს,
რომ ზეცას ბოლი სწვდებოდეს,
— მრავალ ახალწელს! —
ისმოდეს,
სიმღერით ჭერი სკდებოდეს!

კ. გოგიაშვილი.

სახუმარო

იმ ახალი წელიწადის
მეორე დღის ჰქონია
ჩემმა ცოლმა რაც ამზადა,
რაც ადუღა, აკეთა,
ამ ახალი წელისათვის
ცხრაკალიტულში ჩაკეტა.
ტაბილეული არ გვაღირსა,
სულ მწარეზე დაგვყარა:
ზარს რომ დაპკრეს
ახალწლისას,
რა არ შემოგვაყარა:
ჩურჩხელები, ტაბლიკვერი,
ტაბილზე ტაბილი
ნამცხვრები,
დატკუცული ვაშლი, მსხალი,
ყურებით ვერ გაძღები.
ათასგვარი, ათასფერი
მურაბა და კომპოტი
გაამწკრივა, გამოფინა,
მთელი სუფრის ბოლომდის.
რა შევჭამოთ, აღარ ვიცით,
ყველას გული გვერჩევა,
როგორც მწარეს,
ტაბლეულსაც
თურმე უნდა შეჩვევა.
შვილი ისევ წუას ირჩევს,
მე ვჭამ მწარე წიწაკას;
ცოლი უკვე სუფრას იღებს,
საგაისოდ ინახავს.

ნოდარ შამანაძე.

ტელევიზია

1 იანვარი

11.00 — „გიოლოცავთ ახალ წელს!“ — საახალწლო სატელევიზიო გადაცემათა პროგრამის მიმოხილვა — გადაიცემა ფერადი ტელევიზიით, 11.15 — ფერადი ტელევიზია — საახალწლო გადაცემა ბავშვებისათვის „ბურატინოს გამოფენაზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ცეროდენა გვიწვევს ტელეეკრანებთან“ (მულტიპლიკაციური ფილმები ბავშვებისათვის), 12.05 — საახალწლო-საზეიმო კონცერტი ბავშვებისათვის, 12.45 — ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საოცარი ბიჭი“. პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბავშვობა“. საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები (პრემიერა), 14.40 — პატარა კონცერტი „ნაცნობი მელოდიები“, 14.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ორერა, სრული სვლით!“, 16.05 — „თეატრალური პანორამა“ (სცენები სპექტაკლებიდან), 17.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — პატარა კონცერტი „ნაცნობი მელოდიები“, 17.25 — სატელევიზიო მიმოხილვა „ბარაბა, თქვენს მარჯვენას!“, 17.40 — საესტრადო კონცერტი „გიოლოცავთ ახალ წელს!“, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტპანორამა“, 19.40 — საცეკვაო მელოდიები“, 19.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „თოვლი, სიყვარული და ფანტაზია“ (საახალწლო-საესტრადო კონცერტი), 20.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — საზეიმო კონცერტი, 22.00 — „ხვალ — ჩვენს ეკრანებზე“ — 2 იანვრის გადაცემათა პროგრამის მიმოხილვა (გადაიცემა ფერადი ტელევიზიით), 22.10 — „გიწვევს ოსტანკინოს საკონცერტო სტუდია“ — საზეიმო კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

2 იანვარი

10.30 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „თოვლის პაპა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ეგეობრების მელოდიები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — არჩილ სულკაური „საღამურა“ (რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის პრემიერის ტრანსლაცია), 14.00 — კინონარკვევი, 14.15 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, ბავშვებო“, 14.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 15.15 — „იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 16.05 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — კონცერტი — „კოლხური სიუიტა“, 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „ტარაპუნკასა და შტეპსელის მხიარული თავგადასავალი“. ნაწილი პირველი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — მხატვრული პროგრამა, 20.00 — გადაცემა „ცხოვრების მიზანი“, 20.25 — სატელევიზიო ნოველა „დარდიანი კაცი“, 20.40 — კონცერტი-მოგონება „და ის, ვინც გვალხენდა“, 21.30 — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „ტარაპუნკასა და შტეპსელის მხიარული თავგადასავალი“. ნაწილი მეორე (გადმოცემა მოსკოვიდან).

თეატრები

1 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „სპექტაკლი-ფანტაზია“ თოვლის პაპა ოპერის თეატრში; **გრიბოედოვის სახელობის** — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს.

2 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — „სპექტაკლი-ფანტაზია“ თოვლის პაპა ოპერის თეატრში; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — საღამურა (დღისით და საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ხიდი (დღისით და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფეოლა (დღისით), წმინდანები ჯოჯოხეთში (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ძველი არბატის ზღაპრები (მე-8 აბონ. მე-4 წარმოდგენა); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სტუმარი და მასპინძელი (დღისით), გაბზარული ფირფიტა (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (№ 21 აბონ. დილის 10 ს., № 4 აბონ. 1 ს.), დონ სეზარ დე ბაზანი № 48 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

კინო

1 იანვარი

ოქტომბერი — **დირექტორი** (I, II სერია), ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **წითელი და ოქროფერი;** ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), ისახი, გაზაფხული, სპარტაკი, სიბარული, თბილისი — **ეგერი ვარსკვლავები;** საქართველო (წითელი დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი) — **წითელი ქვების სადარაჯოსთან;** 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — **სიყვარულის სილამაზე;** კოლხიდა, ნაკადული, ბათუმი, თანამგზავრი, ჭაბუკაძის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე — **ტომ სოიერის თავგადასავალი, ინდიელი ჯოს სიკვდილი.**

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **დანიშნა:**

ამხ. **ვ. კ. სანიკაძე** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. **კ. ბ. ლომაძე** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. **შ. ზ. ბერიანიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ბაზით „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას 3 იანვარს.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

კომუნისტი — თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22 93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52 46, სახმოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 05001 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. 10

ერთიანი ბიბლიოთეკა

საახალწლო ნაძვისხე თბილისის № 2 რუსაულბლიკურ ბაბა-ბაღში.
ფოტო ბ. გოგოხიასი.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲔᲓᲝᲠᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲗ

საახალწლო საზეიმო განწყობილებაა დედაქალაქში. ქუჩებში, ბაზრებში, მაღაზიებში მრავალი ხალხია — ყველას სურს საახალწლო სუფრა გამოირჩეოდეს ხილამაზით, სიუხვით, გემოვნებით.

ამ დღეებში „კომუნისტის“ კორესპონდენტი იყო თბილისის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სამმართველოს უფროს ნ. ბიბილეიშვილთან და სთხოვა მას ეამბნა, თუ როგორ ხვდებიან ახალ წელს დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები.

— **ჩვენი** ქალაქის მშრომელები, როგორც ყოველთვის, დიდი სიხარულით ეგებებიან ახალ წელს. შევეცადეთ არც ჩვენ დავრჩენილიყავით ვალში და თადარიგს ადრევე შევუდექით, — თქვა ნ. ბიბილეიშვილმა.

საახალწლოდ ქალაქის მოსახლეობას სხვა სავაჭრო ობიექტებთან ერთად მომსახურებას გაუწევს ახლადგახსნილი კეთილმოწყობილი მაღაზიები, როგორიც არის № 1 კვებავაჭრობის თვითმომსახურების უნივერსალური სასურსათო მაღაზია ბახტრიონის ქუჩაზე, გასტრონომვაჭრობის თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზია წყნეთის ქუჩაზე, № 2 კვებავაჭრობის თვითმომსახურების მაღაზია ელმავალსამშენებლო ქარხნის დასახლების მეორე მიკრორაიონში, № 3 კვებავაჭრობის მაღაზია მელითონეთა დასახლებაში, თვითმომსახურების მაღაზია ტელმანის ქუჩაზე და სხვ.

25 დეკემბრიდან თვის ბოლომდე ყოველდღიურად იყიდებოდა 27 ტონა ძეხვეული და შებოლილი ღორის ხორცი, 160 ტონა ყველი, 300 ტონა ქათამი, 900 ტონა ფქვილი, 95 ტონის რაოდენობით რძე და რძის ნაწარმი. რაც შეეხება კარაქს, საკონდიტრო ნაწარმს, ლიმონათს, ლუდს, ღვინოებს, არაყის ნაწარმს, კონიაკს და შამპანურს, ყველაფერი ეს ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი გასაყიდად.

სამრეწველო საქონლის ასორტიმენტს შეემატება 250 ათასი მანეთის ავეჯი, 40 ათასი მანეთის მუსიკალური და რადიო საქონელი, 560 ათასი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 600 ათასი მანეთის ქსოვილები, 73 ათასი მანეთის ნაძვისხის მოსართავები, სულ — 2 მილიონ 400 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელი.

მომხმარებელთა უკეთესი მომსახურებისათვის წინასაახალწლო დღეებში გაგრძელებული იყო საშუაო საათები.

მეც მაქვს სადღეგრძელო

სალო ფლორი

საქართველოში არიან გამოჩენილი მოჭადრაკე ქალები და კაცები. საქართველო განთქმულია ბევრი რამით: თავისი სტუმართმოყვარეობით, საუცხო ბუნებით, ხალხური ტანსაცმლებით. საქართველო განთქმულია აგრეთვე სადღეგრძელოების წარმოთქმის თავისი „გროსმაისტერებით“.

სადღეგრძელოები, ბუნებრივია, განსაკუთრებით ახალწლის ღამეს ითქმება.

მე, როგორც „ძველი ქართველი“ — პირველ რიგში წარმოთქვამ მოჭადრაკე ქალების სადღეგრძელოს! ვადღეგრძელებ ნონას, ახალგაზრდა დედას, მის ვაჟიშვილს, მომავალ გროსმაისტერ დავითს. ვადღეგრძელებ ნანას — მომხიბლავ ჩემპიონს!

ვადღეგრძელებ ძველ წარსულ წელს, რომელმაც საჭადრაკო საქართველოს აჩუქა პირველი გროსმაისტერი — ბუხუტი გურგენიძე! ვადღეგრძელებ ბუხუტის და ვისურვებ მრავლდებოდეს გროსმაისტერთა ოჯახი.

ისტორიას ჩაბარდა 1970 წელი. იგი კარგი იყო თუ ცუდი საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნებისათვის? შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ ცუდიც არაფერი მოუტანია. პესიმისტებს მიაჩნიათ, რომ ბელგრადში ჩვენ „წავიბორძიკეთ“ სსრ კავშირდანარჩენი მსოფლიოს ნაკრების მატჩში. სულაც არა: ჩვენმა გუნდმა მაინც გაიმარჯვა, მთელ მსოფლიოს მოუგო. ეს კი სულაც არ შეიძლება შევაფასოთ როგორც წარუმატებლობა.

მკაცრ კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ჩვენმა ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა ზიგეტში. ოლიმპიადაზე. ამას წინათ გავიგონე ქოკეიში ჩვენი ერთ-ერთი მწვრთნელის სიტყვები. მან გაიცინა და, ჩვენებმა ცუდად დაიწყეს ქოკეის თამაშით. საოცარია. როგორ შეიძლება ითქვას, რომ საჰოთა ქოკეისტები, ისევე როგორც ჩვენი მოჭადრაკეები, მსოფლიოს ათეზის ჩემპიონები, „ცუდად“ თამაშობენ.

მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ესპანეთში საზონთაშორისო ტურნირის შედეგები. ფიშერი რომ ექსესულში მოხვდებოდა, ეს თბილისში უჩემოდაც იცოდნენ ჯერ ტურნირის დაწყებამდე. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. არა, ფიშერის შესანიშნავი წარმატების კომენტარი აუცილებელია. მართალი რომ ვთქვათ, მან კუნძულ მალიორკაზე ნამდვილი საჭადრაკო რბევა მოახდინა, არ ინდობდა თავის ძმებს— გროსმაისტერებს. ათი კაცის ნოკაუტი მოახდინა! თუმცა, უნდა ითქვას, ფიშერმა ფრიად არასასიამოვნო მარცხიც დაუშვა: თუ მას ეშველა ერთი პარტიის წაგება, ვისთანაც უნდა წაგო და არა თავის № 1 მეტოქესთან დასავლეთში ბენტ ლარსენთან.

ამერიკელმა გროსმაისტერმა სხვებს 3,5 ქულით გაუსწრო და ფაქტიურად ტურნირი უკონკურენციოდ ჩაატარა. ფიშერმა ტურნირის დაწყებამდე განაცხადა, ვერავის ვხედავ გარშემო, ვისაც შეეძლოს მეტოქეობა გამიწიოს. მან სიტყვა შეასრულა და გაამარილა მუჭარა, რომ მხოლოდ პირველ ადგილს დაიკავებდა. ტურნირის მნახველთა სიტყვით, ფიშერი უფრო გულღია გახდა, ნაკლებად ჭირვეულობს (დრო!) და მიიწევს ბრძოლაში.

გასულ თვეში მოსკოვში ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა შეხვედრა ჩვენს შესანიშნავ კოსმონავტებთან ა. ნიკოლაევთან და ვ. სევასტიანოვთან, რომლებმაც, როგორც ცნობილია, 18 დღეღამის თავიანთი სარკეორდო ფრენის დროს გაითამაშეს ისტორიაში პირველი საჭადრაკო პარტია კოსმოსიდან დედამიწასთან. ამ საინტერესო საღამოზე გამოვიდა ბ. სპასკიც. მსოფლიოს ჩემპიონმა განაცხადა, რომ 1972 წლის მატჩში ყველაზე მოსალოდნელ მეტოქედ სთვლის რობერტ ფიშერს. მარტო მოთამაშეა გვიწევნებს, რამდენად სწორია სპასკის პრაგნოზი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონის ნათქვამი სასიამოვნო კომპლიმენტია ფიშერისათვის.

ბენტ ლარსენი ის გროსმაისტერია, რომელიც ჩვენულებრივ მხოლოდ პირველ პრიზს უმიზნებს. ამჯერად მან ბევრად ნაკლები პატივმოყვარეობა გამოიჩინა, ვიდრე ფიშერმა, და წინასწარ განაცხადა: მეექვსე ადგილი მომეცით და შინ წავალო. ყოველი შემთხვევისათვის ლარსენმა მე-2-4 ადგილები მაინც გაინაწილა. მაგრამ ახლა საზონთაშორისო ტურნირი უკან დარჩა, ხოლო წინ არის პრეტენდენტთა ტურნირი და ამიტომ თითქოს დრო დაწყებულ იქნას, თუ შეიძლება ასე თქმა, „წინასაარჩევნო კამპანია“. ბენტ ლარსენმა მაინც ანგარიში უნდა გაუწიოს ფიშერს, ამჯერად დანიელი გროსმაისტერი ცოტა აფარფოდს შანსებს (გასულ ციკლში მან მტკიცედ „იცოდა“, რომ მატჩს სახელდობრ ის ითამაშებდა) და აცხადებს: მატჩს სპასკისთან ითამაშებს ერთ-ერთი ჩვენგანი — მხედველობაში ჰყავს თავისი თავი და ფიშერი.

სენსაციები ყოველთვის ყოფილა და იქნება სპორტში, საჭადრაკო ტურნირშიც. არის ხოლმე ისეთი სიურპრიზები, რომლებიც წარმოუდგენლად გვეჩვენება. 1895 წელს დიდ ტურნირში ჰასტინგსში მონაწილეობდნენ ლასკერი, სტეინიცი და ყველა სხვა საუკეთესო მოჭადრაკე. გაიმარჯვა გ. პილსბერიმ (აშშ). სან-სებასტიანში 1911 წელს არ უნდოდათ დაეშვათ ნაკლებად ცნობილი მოჭადრაკე კუბიდან — კაპაბლანკა. მისი მონაწილეობის წინააღმდეგი განსაკუთრებით ო. ბერნშტეინი იყო. სწორედ მას შეხვდა პირველ ტურში კაპაბლანკა და ისე გაანადგურა, რომ პრიზიც კი მიიღო სილამაზისათვის. კაპაბლანკამ პირველი ადგილი დაიკავა.

ეს ორი მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ გამეტარებინა ანალოგია ყველაზე დიდ სენსაციასთან საზონთაშორისო ტურნირში მალიორკაზე. პირველ ტურში ბევრი დასცინოდა რობერტ ფიშერს, რომელმაც ვერ მოუგო (ყაიმსაც კი ძლივს მიაღწია) „ვიღაც“ ახალგაზრდა ოსტატს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან — ჰიუბნერს, რომელსაც აგრეთვე რობერტი ჰქვია. ჰო და სწორედ ამ ევროპელმა რობერტმა მოახდინა სენსაცია ნომერი პირველი. ერთი იფიქრეთ, ჯერ კიდევ ზაფხულში იგი, არ დაუშვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში ოლიმპიადაზე, სამი თვის შემდეგ კი ასეთი ტრიუმფი: ჰიუბნერი გახდა გროსმაისტერი, მაშინვე პრეტენდენტი, ერთბაშად მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან. ასეთი წარმატებისათვის უკანასკნელ წლებში არც ერთ ოსტატს არ მიუღწევია.

პრეტენდენტთა ტურნირში მოხვდა კიდევ ერთი გერმანელი მოჭადრაკე: ვ. ულმანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. მართალია მან, ხუთი პარტია წააგო, მაგრამ მამაცურად იბრძოდა და ათ პარტიაში გაიმარჯვა. ნერვებმა არ უღალატა ფინიშის ყველაზე პასუხსაგებ ეტაპზე.

ახლა კომენტარი გავუკეთოთ ჩვენი კვარტეტის შედეგებს. წარმატება თუ წარმატებლობა? საერთოდ, ექსპერტების აზრით, შედეგი ნორმალური. ვარაუდობდნენ, რომ ორნი მოხვდებოდნენ, ასეც მოხდა.

და აი, ვადღეგრძელებ გასულ, საერთოდ წარმატებიან, 1970 საჭადრაკო წელს. ახალ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს საჭადრაკო ხელოვნებას 1971 წელსაც.

დღის წესრიგშია პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხედფინალები. ადვილი წარმოსადგენია, რა სადღეგრძელოები წარმოითქმება ჩვენი გროსმაისტერების სახლებში.

მეც მაქვს სადღეგრძელო, ძალიან კარგი, მეგობრული, გულითადი სადღეგრძელო.

მე ვსვამ იმათ სადღეგრძელოს, ვისი „გულშემატკივარიც“ ვარ, ვისაც პატივს ვცემ, ვისთვისაც ვცდილობ: „კომუნისტის“ პატივცემული მკითხველის სადღეგრძელოს, სტუ